განკარგულება:**გ-63. 63262153**
თარიღი:**03/08/2026**

ავტომანქანების პარკირებისათვის გათვალიწინებული 12 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, პირობებით სარგებლობაში გადაცემისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი წლიური საფასურის დადგენის შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24–ე მუხლის მე–2 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 22–ე მუხლის მე–2 პუნქტისა და 36–ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, განიხილა ავტომანქანების პარკირებისათვის გათვალიწინებული 12 არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, პირობებით სარგებლობაში გადაცემისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი წლიური საფასურის დადგენის საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1.1. მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, პირობებით სარგებლობაში გასცეს ავტომანქანების პარკირებისათვის გათვალიწინებული 12 არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი:

1.1.1. ქალაქ სამტრედიაში, ბაგრატიონის ქუჩაზე მდებარე 298.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.55.592.

1.1.2. ქალაქ სამტრედიაში, ბაგრატიონის ქუჩაზე (შ.პ.ს ,,არგოს” შესასვლელთან) მდებარე 469.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.55.400.

1.1.3. ქალაქ სამტრედიაში, ჭანტურიას ქუჩაზე (№39 და №31 სახლების შესას/მორის) მდებარე 36.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.55.401.

1.1.4. ქალაქ სამტრედიაში, ჭანტურიას ქუჩაზე (№31 და №33 სახლების შესას/წინ) მდებარე 35.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.55.402.

1.1.5. ქალაქ სამტრედიაში, ბაგრატიონის ქუჩაზე (სააკაძის ქუჩის მიმდებარდ) მდებარე 117.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.425.

1.1.6. ქალაქ სამტრედიაში, სააკაძის ქუჩაზე (შ.პ.ს ,,არგოს'' აღმოსავლეთით) მდებარე 48.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.426.

1.1.7. ქალაქ სამტრედიაში, გენო გეგეშიძის ქუჩაზე (ჭავჭავაძის ქ.№3 ს/დასავლეთით) მდებარე 121.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.428.

1.1.8. ქალაქ სამტრედიაში, გენო გეგეშიძის ქუჩაზე (მ/ახალ.სახლის დასავლეთით) მდებარე 244.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.429.

1.1.9. ქალაქ სამტრედიაში, გენო გეგეშიძის ქუჩაზე (შ.პ.ს ,,როზას" დასავლეთით) მდებარე 146.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.888.

1.1.10. ქალაქ სამტრედიაში, გენო გეგეშიძის ქუჩაზე (შ.პ.ს ,,როზას" დასავლეთით) მდებარე 324.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.889.

1.1.11. ქალაქ სამტრედიაში, შარტავას ქუჩაზე (ჭანტურიას ქუჩის მიმდებარე) მდებარე 45.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.434.

1.1.12. ქალაქ სამტრედიაში, სააკაძის ქუჩაზე (შ.პ.ს ,,არგოს'' დასავლეთით) მდებარე 122.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.436.

1.2. ავტომანქანების პარკირებისათვის გათვალიწინებული 12 არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, პირობებით სარგებლობაში გადაცემის ქირის საწყის წლიურ საფასურად (ქირის საწყის წლიურ ოდენობად) განისაზღვროს 2500 (ორიათასხუთასი) ლარი.

1.3. ელექტრონულ აუქციონზე ავტომანქანების პარკირებისათვის გათვალიწინებული 12 არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საგარანტიო თანხა განისაზღვროს 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

1.4. ელექტრონულ აუქციონზე ავტომანქანების პარკირებისათვის გათვალიწინებული 12 არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ბიჯი განისაზღვროს 100 (ასი) ლარის ოდენობით.

1.5. ავტომანქანების პარკირებისათვის გათვალიწინებული 12 არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით პირობებით სარგებლობისათვის, ქირის გადახდა განხორციელდება ყოველთვიურად.

1.6. ავტომანქანების პარკირებისათვის გათვალიწინებული 12 არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, იჯარის ფორმით, პირობებით სარგებლობის ვადად განისაზღვროს 03 (წელი) წელი.

1.7. პირობებად განისაზღვროს, რომ:

1.7.1. 12 არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ ავტომანქანების პარკირებისათვის. მათი სხვა მიზნით გამოყენება დაუშვებელია.

1.7.2. პირობებით ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია 12 არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განათავსოს პარკირების შესაბამისი საგზაო ნიშნები და მოაწყოს შესაბამისი ავტოსადგომები (მათ შორის,

უზრუნველყოს ტერიტორიის დახაზვა).

1.7.3. პირობებით ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია 12 არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე გამოყოს არანაკლებ 12 სპეციალური სადგომი შესაბამისი ნიშნით შშმ პირთა საცნობი ნიშნის მქონე სატრანსპორტო საშუალებებისათვის. მოთხოვნის მიხედვით გასცეს შშმ პირთა სატრანსპორტო საშუალებებისათვის საცნობი ნიშანი (ნიშნები).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი